რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 1 „ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".


## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი


## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

**თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".**

### ქართული თეატრი

**ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს 1896 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქ. ავალიშვილისა და ბ. ყიფიანის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

**პირველად ახალი პიესა**

## მგზავრნი ცეცხლნი

დრამა 5 მოქმ., თარგ. ქ. ნასიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ავალიშვილისა, კარგარეთელი, ბარამიძე, ბ. ბ. ყიფიანი, გედევანოვი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, აღამიძე, კარბელი, საფაროვი და სხვა.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.
რეჟისორი: ვ. ალექსიმესხიევი.

(1—1 ფ.)

## კაბინეტი კბილის ექიმისა
### ვ. ი. პიპინაძისა

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.


ტფილისის მეორე საქალებო საკვირაო სკოლაში, რომელიც იმყოფება ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზედ, სამოქალაქო სკოლის სადგომში, სწავლის მსურველნი მიიღებიან ყოველ კვირა დღეს. სწავლა უფასოა. იწყება დილის 12 საათზე.

(ნ—1 უ.)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

21 ოქტომბერი.

**პეტერბურღი.** პეტრე-პავლეს ტაძარში და ყველა ეკლესიებში შემდეგ წირვისა და პანაშვიდისა, ჯარის-კაცებს და ხალხს დაურიგდა უფასოდ ახლად გამოსული გამოცემა ვ. ვ. ბოგდანოვიჩისა—სახსოვარი ფურცელი, დასურათებული და პატრიოტულის ტექსტით შეხამებული, სახსოვრად ორის წლის გარდაცვალებისა განსვენებულის იმპერატორი ალექსანდრე III.

**პარიზი,** 20 ოქტომბერს. რუსულ ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი დიდთა მთავართა ვლადიმირ და ალექსი ალექსანდრეს ძეთა, რუსეთის საელჩოს ყველა წევრთა, რესპუბლიკის პრეზიდენტის და გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

**პარიზი.** ლეიმარიმ, უადგილო მზარეულმა, პეტიტ შამპის ქუჩაზე დამბაჩა ესროლა პოლიციის აგენტს და მძიმედ დასჭრა. ხოლო მეორე აგენტი, რომელიც დაჭრილ ამხანაგს მოეშველა, მსუბუქად დაჭრილია. ლეიმარი შეიპყრეს და გამოტყდა, რომ ანარხისტი ვარო; გამოძიების დროს უპოვნეს მრავალი ქაღალდები, ანარხისტულის შინაარსისა.

**ბერლინი,** 20 ოქტომბერს. რუსულ საელჩო ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

**ვენა,** 20 ოქტომბერს. საელჩო ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

**სოფია.** მთავრის სურვილით ტაძარში გარდახდილ იქმნა იმპერატორი ალექსანდრე III მოსახსენებელი წირვა მთავარის, მთავრინას, მინისტრების, სამხედრო პირთა და მრავალ ხალხთა თანადასწრებით.

**ლონდონი.** დედოფალმა დანიშნა პეტერბურგლის ეპისკოპოსი, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებაზედ იყო, ლონდონის ეპისკოპოსად.

**ქაირი.** სუდანის მრავალ და ძლიერ ტომთა შეიხნი დაემორჩილნენ ეგვიპტეს; ამ რიგად მომეტებული ადგილი დონგოლასი ბერბერეთისა და აბდურმანსა შუა შერჩათ არაბებს, რომელთაც კეთილ-განწყობილება აქვთ ეგვიპტეს მთავრობასთან.

21 ოქტომბერი.

**პეტერბურგი,** 21 ოქტომბერს. ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღეს ისააკის ტაძარში გარდახდილ იქმნა პარაკლისი პეტერბურგის მიტრაპოლიტის პალლადისა და უწმიდესის სინოდის წევრთა და პეტერბურგის სამღვდელოების მიერ. დაესწრნენ: დიდნი მთავარნი სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი, კონსტანტინე და დიმიტრი კონსტანტინეს ძენი, ნიკოლოზი ნიკოლოზის ძე, პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგისა, გერცოგი მიხეილ გეორგის ძე მეკლენბურგ-სტრელიცკი და დიდ-კაცობა. ტაძარი სავსე იყო ხალხით. მრავალ-ჟამიერის წარმოთქმის დროს ციხეში 101-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. პეტერბურგი მორთულია ბაირაღებით; საღამოთი გაჩირაღდნებული იყო.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გაზეთებმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, თანაგრძნობით მიიღეს თავიანთი უმცროსი ძმა „ცნობის ფურცელი." გაზ. „კავკაზი" გვისურვებს, რომ ჩვენი გაზეთიც, როგორც ყველა ჩვენი საქმე, პარტიობამ არ ჩაითრიოს და არ დაიღუპოს დაწყებისათანავე, ხოლო გაზ. „მშაკი" სურვილს აცხადებს, რომ „ცნობის ფურცელი"ს მოქმედება დამყარებულ იყოს პირუთვნელობასა და სამართალზედ, რომ გაზეთმა გაავრცელოს და გააძლიეროს აზრი ძმობისა და ერთობისა ჩვენის ქვეყნის ტომთა შორის. „ცნობის ფურცლის" პირველსავე ნომერში დაბეჭდილს შენიშვნაში რედაქციამ მკითხველს აღუთქვა ყოველი თავისი მოქმედება მუდამ ქვეყნის სიყვარულზედ დაამყაროს და ეს სიყვარული ხომ იმის თავმდებია, რომ ჩვენს მოღვაწეობაში აღნიშნულს აზრს უმთავრესი ადგილი ეჭირება. ჩვენი გულის ნადებიც ის არის, რომ კეთილი მერმისი ჩვენის ქვეყნის, დამყარდება მხოლოდ ერთობილს, ძმურს, შეთანხმებულ მოღვაწეობაზედ ჩვენსა და ჩვენ მეზობლებ შორის, ჩვენის სულიერის და ეკონომიურის წარმატებისათვის სწორედ ესეთი მოქმედებაა საჭირო. რაიცა შეეხება „კავკაზის" რჩევას, რომ პარტიობა ავიცილოთ თავიდამ,— ვიტყვით, რომ ჩვენ ვეცდებით მტკიცეთ დავიჭიროთ ხელში დროშა სიმართლისა.

*** სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი გულ-მოდგინედ შესდგომია სკოლისთვის საკუთარის სახლის აშენებას. დღეს გუბერნიის მარშალმა თ. კ. ივ. მუხრან-ბატონმა კომიტეტის წევრებთან ერთად დაათვალიერა სასკოლო ადგილი წყნეთის ქუჩაზედ. თუ მივიღებთ სახეში აწინდელ გაჭირებულს დროს, როდესაც მსურველნი სწავლისა მრავალ ირიან, ხოლო სკოლები ცოტა, არ შეიძლება სრული თანაგრძნობა არ

გამოვუცხადოთ თ. მუხრან-ბატონს და არ ვინატროთ, რომ მას ეს დიდი და აუცილებელი საქმე მალე მოეყვანოს განხორციელებაში. სახლი განზრახულია 400 პანსიონერის საყოლად.

⁂ ქალაქის ხმოსნები უკვე ავირჩიეთო, სწერენ ახალ-ქალაქიდამ გაზ. „მშაკს“ და მთავრობამაც დაამტკიცა ჩვენი არჩეულებიო. 16 ოქტომბერს, გაზეთის სიტყვით, უნდა მომხდარიყო პირველი სხდომა ახლად არჩეულის საბჭოსი და საგნად ბჭობისა ყოფილიყო ხელმეორეთი დაფასება ქალაქის უძრავ მამულებისა.

⁂ კნ. ელენე თორნიკეს ასულის ერისთავის შვილიშვილს პავ. ვას. პაპოვს განუზრახავს თავისი ახალგორის მამული შესწიროს მომავალს ოძისის სამეურნეო სკოლას, რომელსაც იგი დაარსდებაო, სწერენ დეპეშით პეტერბურგიდამ „ნოვოე ობოზრენიეს“.

⁂ გაზეთი „კავკაზი“ იუწყება, რომ 16-ს ოქტომბერს გორის მაზრის სოფ. დიდ-ლვარებში თავი ჩამოურჩვია ადგილობრივ მცხოვრებლის იოსებ ტიგიშვილის ცოლს—ანნას. საქმის გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ანნა ტიგიშვილს ვილაც ბერძენი, სახელად იაკობი, სწამლობდა, უშვილობისაგან. ქმარმა ცოლს ხსენებულს ბერძენთან მრუშობაზე მიასწრო და ამის შემდეგ ქალს გადაეწყვიტა თავის მოკვლა,

⁂ გაზეთს „კავკაზისავე“ სიტყვით, იმავე რიცხვს გორის მაზრის სოფ. ხანდისში თავი ჩამოიხრჩო იაგორ გურიშვილის ცოლმა. როგორც განაცხადეს მისმა ქმარმა და შინაურებმა, თავის მოკვლის მიზეზი ის ყოფილა, რომ საცოდავის ქმარს სალდათობა რგებოდა და ცოლს კი ჰგონებია, რომ ომში წაიყვანენო.

⁂ თბილისის სამკურნალოს ახალს უფროსს ბატონს ალექსანდრე პავლეს ძეს პავლოვსკის ძლიერ ემადლიერებიან ყველანი, ვინც კი ამ სამკურნალოში ყოფილა მოსარჩენად. ყველას თურმე ტკბილად ელაპარაკება თავისს დედა-ენაზედ: ქართველებს ქართულად, რადგანაც ქართული ენა წმინდად იცის, სომხებს სომხურად, ნემეცებს ნემეცურად, ფრანგებს ფრანგულად. გარდა ამისა ბევრი კარგი ცვლილება მოახდინა სამკურნალოში თავისი გაუფროსების შემდეგ და უკეთესს ფეხზედ დააყენა ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო საზოგადოებრივი დაწესებულება.

⁂ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს შეუტყვია, რომ ტფილისში ჩამოსულა წარმომადგენელი მოსკოვის ორის ბანკისა იმ აზრით, რომ ეკისრნა გაყვანა კახეთის რკინის გზისა თავად-აზნაურობისათვის სასარგებლო პირობით; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხსენებულმა წარმომადგენელმა ვერ გაიგო, ვის უნდა მიჰმართოს ამ საქმის შესახებ, რადგან, როგორც მკითხველს მოეხსენება, დადგენილობა თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა გუბერნიის მარშლისაგან გაუქმებულ იქმნა, რისგამო საგანგებო კრებისგანვე არჩეული კომისიაც გაუქმდა

უეჭველია, მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ სამის წლის წინად ტფილისის თავად-აზნაურთა თხოვნით საადგილ-მამულო ბანკმა თავის მოგებიდგან გადასდო ათას ხუთასი თუმანი კახეთის რკინის გზის გამოკვლევისათვის. ეს ფული ჩაბარდა თავად-აზნაურთაგან არჩეულ კომისიას, და ამ უკანასკნელმა კავკასიის რკინის გზის გამგეობას სთხოვა, რომ მას დაენიშნა გამოცდილი ინჟენერები მისთვის, რომ ამ გზის გაყვანის საქმე გამოეკვლიათ. როცა ინჟენერებმა და კომისიამ დაამთავრეს მინდობილი საქმე, თავად-აზნაურთა კრებამ მოისმინა მათი მოხსენება და რომელსაც დაინახა, რომ ამ გზის გაყვანა სასარგებლო იქნებოდა, მმართებლობას სთხოვა მიეცა უფლება თავად-აზნაურობისათვის ამ გზის გაყვანისა და თავდებიც გამხდარიყო. პასუხად აზნაურობამ უარი მიიღო მმართებლობისგან, რომელმაც აუწყა, რომ თვით მას აქვს განზრახვა ამ გზის გაყვანისა. ეს საქმე წრეულს გაზაფხულამდე მიჩუმებულ იყო, ხოლო გაზაფხულზე გავრცელდა ხმა, რომ უცხოელ კაპიტალისტებს სურთ კახეთის რკინის გზის გაყვანა და კიდევაც შეთანხმებულან იმისთანა პირობით, რომელსაც ნებართვა მიუღიაო. ამავე დროს შესდგა კერძო წრე შეძლებულ თავად-აზნაურთაგან, რომელმაც სხვა კაპიტალისტების წარმომადგენელთან გამართა მოლაპარაკება კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ. საქმე ამ მდგომარეობაში იყო, როცა რამდენიმე პირის თაოსნობით დაინიშნა თავად-აზნაურთა ყრილობა, სადაც დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა თავად-აზნაურობამ, რომ ხელმეორეთ ეთხოვოს მმართებლობას კახეთის რკინის გზის გაყვანის ნებართვა; შუამდგომლობის გაწევისათვის თავად-აზნაურობამ აირჩია კომისია ხუთის პირისაგან თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით. მაგრამ ბატონმა წინამძღოლმა, რომელიც კრებაზე არ დასწრებია სხვაგან ყოფნის გამო, უკანონოდ აღიარა ეს კრება. მიიწვია წრეულს არჩეული და სამის წლის წინად არჩეული კახეთის რკინის გზის კამისიები და აქაც თითქმის იგივე გადასწყვიტა, რაც ზევით იყო ნათქვამი იმ განსხვავებით, რომ დამსწრეთ აუწყეს ბ-ნი გუბერნიის მარშლის განზრახვა თავად აზნაურთა ყრილობის მიწვევის შესახებ: ამ რიგად კახეთის რკინის გზის ბედ-იღბალი ჯერ-ჯერობით მიძინებულია.

⁂ ბ-ნ ვახილ რატიაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა სამაგალითო ნაშთი ჩვენი ძველ ხელთ—ნაწერისა იტალიურ ოსმალური ლექსიკონი, ქართულ ასოებით დაწერილი. ამ ხელთ ნაწერზე ცნობილმა მოსე ჯანაშვილმა გამოსთქვა თავისი აზრი გაზ. „ივერიაში“. ხელთ—ნაწერი, როგორცა სჩანს, ეკუთვნის მე XVII საუკუნის დამდეგს. ამ ჟამად ეს ხელთ-ნაწერი გადაცემული აქვს იმავე საზოგადოების წევრს ბ-ნ ექვთ. თაყაიშვილს.

⁂ ქალაქში ამას წინედ ხმა გავრცელდა, ვითომც გამოჩენილი ყურის ტკივილთა ექიმი ვენის ფროფერი ტფილისში ჩამოდისო. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს მართალი არ არის. ბ-ნი მიულერი შეიძლება დაესწროს მომავალ კრებას ექიმთა რუსეთში.

⁂ მეტად უსიამოვნო ამბავს გვატყობინებენ გორიდამ. წყალ-დიდობის შემდეგ, ძველი გორის ხიდი წყალმა წაიღო, მტკვარზე გადასვლა თითქმის შეუძლებელი შეიქნა; კარგია კიდევ, რომ დროებით ბორანზე შეიძლება ადამიანი თუ საქონელი გადავიდეს, მაგრამ აქაც, როგორც ყოველს ქართულ საქმეში, ჩვეულებრივმა უთავბოლობამ და დაუდევრობამ თავი იჩინა. ურიცხვი ურმები, ეტლები, საქონელი და ხალხი დომხალივით არეულია ერთმანერთან. დილიდან მოყოლებული საღამომდე ბორანთან დაუბოლოვებელი ლანძღვა თრევა, წივილ-კივილი გაისმის და ალიაქოთი სუფევს. არვინ არის პატრონი და ბატონი, რომ გასვლა-გამოსვლაში რაიმე წესი და რიგი დააწესოს ბორანთან. ხშირად შორეულ სოფლებიდან ჩამოსული ურმები სამს დღეს უცდიან ბორანზე გასვლის რიგს. საქმეს კი ძრიელ ადვილად ეშველება, რომ ვინმე იყოს რიგის მიმცემი და რაც შეიძლება მალე მოახდინონ შესაფერი განკარგულება.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობა პირობით შეეკრა პირველ გილდის ვაჭარს ბ-ნს ტობურინოს, რომელმაც იკისრა მოტეხილის ქვით მოკირწყვლა ორის ქუჩისა—ხიდის ყურისა, ვარანცოვის ძეგლიდგან ავჭალის ქუჩამდეო, და მჭედლების ქუჩისა. ამ ქვით მოკირწყვლა ქუჩისა საჟენი 2 მ, და 60 კაპეიკით მეტი დაჯდება, ვიდრე სიპი ქვითა.

გარდა ამისა ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს, ქალაქის ინჟენერის ს. ვ. ნერჟანოვსკის პროექტის მიხედვით, მომავალ წელს ქუჩები მოკირწყლოს ასფალტითა და თლილის ქვით.

⁂ გაზეთების სიტყვით ფინანსთა სამინისტრო სთხოვს სახელმწიფო საბჭოს, რომ უსათუოდ კანონად დაიდოს ყველა ადგილებში პურის გაყიდვა წონით იყოს და არა ზომით.

⁂ გუშინ საღამოთი ტფილისში მოვიდნენ პეტერბურგიდან საფოსტო უწყებათა რევიზორი ბ-ნი სავასტიანოვი და უფროსი ტეხნიკოსი ნოვიკოვი. რევიზორი დაათვალიერებს ტფილისის საფოსტო შენობებს.

⁂ ამ მოკლე ხანში მეორედ გვესტუმრება ჰაერონავტი იუზეფ დრევნიცკი, რომელიც ამ დღეებში აფრინდება დიდის ჰაეროსტატით და დაეშვება პარაშუტით (დიდი ქოლგით).

⁂ ნამდვილს წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ „ნაძალადევის“ უბანში, აპირებენ სკოლის გახსნას ადგილობრივ მცხოვრებთათვის. სწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა და ახლა დეეძებენ შესაფერს სახლსა, სადაც უნდა მოთავსდეს სკოლა. ჯერ ჯერობით აღმოჩნდა ერთი მასწავლებელი, ქალი, რომელიც კისრულობს მასწავლებლობას. ამავე საგნისათვის წარსულ კვირას იყო წარმოდგენა რომლის წმინდა შემოსავალიც იყო ამ საქმისთვის გადადებული. სამწუხარო ეს არის, რომ ჯერ ჯერობით სკოლისათვის შესაფერი სახლი ვერ უშოვნიათ.

მართლაც რომ საჭიროებს ეს ახლათ მოშენებული კუთხე, რომელიც ქალაქიდგან თითქმის სრულიად მოწყვეტილია სიშორის გამო და ბავშვებს ძალიან ეძნელებათ იქიდგან ქალაქის სასწავლებლებში სრული.

⁂ ვეროფერი შემოდგომა დაგვიდგაო, გვწერენ ქიზიყიდამ,—წლევანდელი ღვინის მოსავალი არ შეადგენს მეათე ნაწილსაც ჩვეულებრივს მოსავალთან შედარებით. ვაზის წამლობა თავის დროზედ სწორედ მისწრება—წამალია, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიან შევიგნეთ ეს ცოდნა: ვიდრე მწარე გამოცდილებამ არ დაგვანახვა, რომ უწამლოდ ვაზი ფუჭდება, მანამ ჩვენ მარტო დავცინოდით სწავლა-ცოდნას და ზარმაცად გავიძახოდით: „ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“, ან „როგორც მამა-პაპას უწირავს, ჩვენც ისე ვსწიროთ“,—მამა-პაპას არ უწამლია ვაზისთვის და ჩვენ რაღა გვჭირსო. მაგრამ, აგერ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მამა-პაპურის წესის აყოლა ყოველთვის

კარგი არა ყოფილა, რომ სწავლის და ცოდნის აყოლა სასარგებლოა. სწორედ მამა-პაპურის უთავბოლობის აყოლის ბრალია ისიც, რომ ჩვენის «ქიზიყის დეპოს» წესდება ჯერ კანონიერად დამტკიცებული არ არის და, ვგონებ, არც არავინ სცდილობს, რომ ჩქარა დამტკიცდეს. წლევანდელმა საზოგადო კრებამ დაგვანახვა, რომ დეპოს გზა მარტო ვარდით არ არის მოფენილი, რომ მაზედ მოიპოვება ისეთი ეკალ-ნარიც, რომელიც, მწარედ სჩხვლეტს ზოგიერთს ვაჟბატონს. იმავე კრებამ დაგვანახვა, რომ მომატებული წესი-და-რიგია საჭირო, ვიდრე ეხლა სუფევს დეპოში. რომ ზედამხედველს კომიტეტს, თუ სარევიზიო კომისიას ნაკლებად ესმის თავისი მოვალეობა და სხვა. მაგრამ ამისთანა საგნებზედ ჯერ ლაპარაკიც მეტია, რადგან «დეპო» ჯერ იურიდიულად კერძო კუთვნილებას შეადგენს.

ამ ახალ მოშენე კუთხეს გარდა ავჭალის წყალისა თავისი საკუთარი წყალიც ექნება. ქალაქის გამგეობამ უკვე ნება დართო ამ წყალის ამოყვანისა.

სამწუხაროთ ამ უკანასკნელ ხანში აქ გახშირდა ღამღამობით ქურდობა.

საჭიროა, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და როგორმე მოგვაშოროს საეჭვო კაცები, რომლებსაც, როგორც ამბობენ, აქაურ აგურხანებში შეუფარებიათ თავი.

*** რუსეთის ზოგიერთი ერობა სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ყველასთვის სავალდებულოდ იყოს შემოღებულ საქონლის საურთიერთოდ დაზღვევა სხვა და-სხვა ჭირისაგან. სასურველია ჩვენშიაც იზრუნონ საქონლის დაზღვევის შემოღებაზედ, მეტადრე იმ მაზრებში, სადაც საქონლის მოვლა-მოშენება ცხოვრების უმთავრესს საგანს შეადგენს.

—

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ აარჩია კომისია და დაავალა შედგენა წესდებისა ახლად დასაარსებელ ცხვრის პატრონთა ამხანაგობისა. კომისია უკვე ათავებს წესდების შედგენას და მალე წარუდგენს სამეურნეო საზოგადოებას განსახილველად.

## პოლიციის მატიანე

19 ოქტომბერს, ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ საათზე, ორბელიანის ქუჩაზედ, ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ტფილისის მაზრის სოფ. ვეძისის გლეხს პავლე ზურაბის ძეს ცამანაშვილს და მარცხენა გვერდი დაუშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ვაგონის კონდუქტორი და მეეტლე პასუხის გებაში მისცეს.

20 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზედ, ეჩმიაძინისა და გეორგის ქუჩების კუთხეში პოლიციელმა იპოვნა ახლად დაბადებული ბავშვი დედათა სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

—

იმავე დღეს თავ. რომანოზ იაგორის ძემ ჯავახიშვილმა გამოაცხადა: მოსამსახურემ ლეონტი გლახას ძემ მარგალაშვილმა 152 მანათი მომპარა და გაიქცაო. პოლიციამ მარგალაშვილი იპოვნა და შეიპყრო. 125 მანათი ზედვე უპოვნეს, დანარჩენის 27 მანათით ტანისამოსი ეყიდნა. მარგალაშვილი გამოტყდა ქურდობაში.

—

20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, ივანე ეროშევიჩის მოსამსახურე ქალმა ტატიანა შჩერბაკოვისამ კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა. შჩერბაკოვისა სამკურნალოში წაიყვანეს. ექიმებს მორჩენის იმედი აქვთ. მიზეზი თავის მოწამლისა მეტად გამწარებული ცხოვრება და უბედურება ყოფილა. ქმარს თავი დაუნებებია, და გარდა ამისა სამი შვილი ზედი-ზედ დაჰხოცვია.

—

*** რკინის გზით მოვდიოდი ბათუმიდგან ტფილისში. ლანჩხუთს ერთი გურული შემოვიდა ვაგონში. მოწყენილი ვიყავი და ლაპარაკი დავუწყე. ვკითხე:

— ვისი კაცი ხარ?

— ვისი და ისე გურულის. დიდი იესე რომაა.

— რას აძლევ შენს ბატონს?

— აფერს.

— მაინც.

— ერთ ურემ ლომს მოუცეხავ. მიუტან და ქე წამოვალ სახლჩი.

— სხვა?

— აფერი.

— კიდევ გემართება რამე?

— ერთი ურემი ხაპი. მიუტან და ქე წამოვალ სახლჩი.

— კიდევ?

— აფერი.

— მაინც?

— ბატონს შაშვი უყვარს. დაუხოცავ, გოუპუტავ, მიუტან და ქე წამოვალ სახლჩი.

— სხვა?

— აფერი.

— კიდევ გემართება რამე!

— აფერი. დიდი იესეის კაცი ვარ. აფერი მართებს!

— მაინც?

— აფერი.

— მაინც?

— ბატონს კიბო უყვარს. დევიჭერ, მოუხარჩავ. მიუტან და ქე წამოვალ სახლჩი.

— სხვა?

— აფერი.

— მაინც?

— კვირეში ერთჯერ ჩემი უფროსი შვილი წეიტანს საგძალს, გაუთოხნის ბატონს, საღამოს მიუგდებს თოხს და ქე წამოვა სახლჩი.

— სხვა რა გმართებს?

— ბატონს უფროსი ციცაი მიყავს, აგერ.

— სხვა?

— აფერი.

— მაინც?

— კალანდას დავკლავ ღორს და წაუღებ ბატონს. კიდო წაუღებ ბატს, ინდოურს, ქათამს, მხალს, ვაშლს, ჯანჯუხას და...

— კარგი, მაგრამ შენ თითონ რაღა დაგრჩა?

გურული ცოტა ხანს დაფიქრდა.

— რა დამრჩა და... კომბოსტოს ხვიტი... აფერი!

## გამოსადეგი ცნობა ოჯახობაში.

საკერავ მაშინის გაწმენდა. მაშინას ყველაზედ ძლიერ მტვერი აფუჭებს. ზეთს, რომელსაც მაშინას წაუსვამენ ხოლმე, მტვერი ედება, ზეთი სქელდება და მაშინის ტრიალი ძნელდება. თუ მაშანა სუბუქად და ადვილად არა ტრიალებს, გაწმენდა ეჭირვება. ჯერ მაშინაში უნდა ჩაასხათ კარგად დაწმენდილი, საუკეთესო ნავთი და პატარა ხანს დააცალოთ, რომ ნავთმა ჟანგი მოაშოროს. მერე ჩაასხით, ეგრედ წოდებული, მაშინის ზეთი, თუ ვერ იშოვეთ, ზეითუნის ზეთიც შეიძლება. მერე მაშინა ატრიალეთ, ჯერ ნელა და მერე თან-და-თან მოუჩქარეთ. რაც ჭუჭყიანი ზეთი გამოვა მაშინიდგან, ჩვარით მოსწმინდეთ და კიდევ სუფთა ზეთი დაასხით და მაშინა ატრიალეთ. ასე მოიქეცით იმ დრომდე, ვიდრე მაშინიდგან სუფთა ზეთი ჩამოვა. უბრალო ზეთი არ იხმაროთ; მაშინას გააფუჭებს.

—

ჯიბის საათს კარგი მოვლა უნდა, რომ სწორედ იაროს. ეცადეთ, ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს მომართოთ. მომართვა დილით სჯობია. აგრეთვე ეცადეთ, ან ყოველთვის კედელზედ ჩამოჰკიდოთ, ან კიდევ პირაღმა დადოთ ხოლმე. დღეს კედელზედ ჩამოკიდება, ხვალ პირაღმა დადება არ ვარგა. არ ვარგა აგრედვე ცივს კედელზედ ჩამოკიდება საათისა, ან ცივს ადგილას დადება. კარგია საათი ყოველთვის მაუდის ნაჭერზედ დასდოთ. ყოველ ორ-სამ წელიწადს საათის გაწმენდა უნდა. ძლიერ აფუჭებს საათს ნოტიო ადგილი. თუ ვინიცობაა, საათი წყალში ჩავივარდათ, მაშინვე მესაათეს მიეცით გასაწმენდათ, თორემ დაჟანგდება.

## ქალების საყურადღებოდ

მოდა

ლიფზედ—ვიწრო სახელოებს ხმარობენ ბეჭებამდე; ბეჭებზედ—აბორკა ბანტებით, მარლით.

ლიფი სადა, მაღალის ორკეცი საყელოთი, იცვამენ იუბკის ზემოთ, დაკეცილის ბასკით, ან კიდევ ისეა გამოჭრილი, როგორც ფრაკი.

იუბკა თან-და-თან ვიწროვდება, წელს ქვემოდ განიერს იუბკას, უეჭველია, ჩვენში გაზმფხულამდე იხმარებენ, თუმცა პარიიზს მაღალ საზოგადოების ქალები ეხლა სულ ვიწრო იუბკებსა ხმარობენ, სულ ახალის ფასონით გამოჭრილს.

ყველა ეს მხოლოდ საზოგადო ცვლილებაა მოდისა. ვეცდებით, დრო გამოშვებით დაწვრილებით ცნობებიც ვაუწყოთ ჩვენს მკითხველ ქალებს.

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მიდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავში მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სახელმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

მლეთში ღამის სათევად ქალებსა და ბავშვებს ეძლევათ საერთო ოთახი, ხოლო მამაკაცებისათვისაც არის ერთი საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო ოთახი, მსურველთ შეუძლიანთ იქონიონ ფასით ცალკე ოთახებიც.

## ტფილისის ბაზარი.

კარტოფილი იყიდება 55—58 კაპეიკად
კომბოსტო ფუთი 35—40 კაპ.
ხაზალალა გირვანქა 1 მ.60 კ.
ფქვილი—80—90 კაპ.
ქერი—60 კ.
სიმინდი—60—70 კ.
ყველი—7—8 მანათი ფუთი.
ერბო—12. მან. ფუთი.
კარაქი—9—10 მან.
შაქარი—6 მ. 20 კ. ფუთი.

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

# საღამოს დეპეშა

22 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** 22 ოქტომბერს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული წაბრძანდნენ მოსკოვს.

**ჰელსინგფორსი.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღე დიდის ამბით იდღესასწაულა აქაურმა უნივერსიტეტმა. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ქანდაკებანი მორთულნი იყვნენ დაფნის გვირგვინებით, პროფესორებმა სიტყვები წარმოსთქვეს. დღესასწაული დასრულდა რუსეთისა და ფინლანდის საერო საგალობელით.

**ვარშავა.** 21 ოქტომბერს ყველა სარწმუნოებათა ეკლესიებში გარდახდილ იქმნა წირვა. ქალაქი მორთულია ბაირაღებით. საღამოთი გაჩირაღდნებული იყო.

**როსტოვი (დონზედ).** თევზის ჭერამ იმატა. თევზი გაიაფდა, მაგრამ ვაჭრობა არც ისე ძლიერია.

ნოვოროსისკის სადგურის საწყობებში ექვსი მილიონი ფუთი ხორბლეულობაა. ნახევარი სელის თესლია. 1½ მილიონი ფუთი პურია.

**პარიჟი.** მდინარე რონა არა კლებულობს. დიდი შიშია. წყალმა ძლიერ ბევრი სახლი დააზიანა. მეტადრე ავინიონში. ლიონში წყალმა წალეკა ელექტრონით ქალაქის გასანათებელი მაშინები.

**პარიჟი.** 21 ოქტომბერს რუსეთის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. დაესწრო ანოტო.

**რომი.** გაზეთი „Gribina“ იუწყება, რედაქციას ხელთა აქვს წერილი 18 ოქტომბრის რიცხვით აბისინიიდგან, საიდგანაცა სჩანს, რომ 17 ოქტომბერს იტალიელებმა დაამარცხეს რას-მანგაში, რომელიც ადიკაის ციხემდე მისულა.

**ბელგრადი.** მეფე დაბრუნდა. მიეგებნენ მინისტრი და უმთავრესი მოხელენი.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ი. იმედაშვილის და ს. ჭელიძის გამოცემანი:

№ 1

**ლექსები და პოემები**

ი. გედოშვილისა.

ფასი 25 კ.

№ 2 „ნატვრა,“ ლეგენდა შ. მღვიმელისა.

ფასი 2 კ.

წიგნების უმთავრესი საწყობი: გიორგიევის ქუჩა, არჯევანიძის სახლში, № 14, ამხ. ს. ჭელიძის და ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА

**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

(тринадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к |
| „ 11 „ | 9 „ 50 „ | „ 5 „ | 5 „ 25 „ |
| „ 10 „ | 8 „ 75 „ | „ 4 „ | 4 „ 75 „ |
| „ 9 „ | 8 „ — „ | „ 3 „ | 3 „ 50 „ |
| „ 8 „ | 7 „ 25 „ | „ 2 „ | 2 „ 75 „ |
| „ 7 „ | 6 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ 50 „ |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 ра Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяц..

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учрежденій ПЛАТА ПОНИЖЕННАЯ—7 Р. ВЪ ГОДЪ.

Подписка и объявленія принимаютс яВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты—Барятинская ул., № 8. Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія„.

РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА газ. „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ„ производится:авъ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ ЛЕДЕРЛЕ, Невскій просп., № 42, д. рмянской церкви; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ КАРБАСНИКОВА, Моховая улица; въ книжнихъ шкапахъ станцій ростово-владикавк. жел. дороги: Владикавказъ, Беслань, Тихорѣцкая и Ростовъ,

ევროპიულ ტანისამოსის მკერავი

**ონისიმე დავითის ძე სალაყაია**

ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა, მაღაზია № 24.

ვღებულობ ვაქკაცების ყოველგვარ ტანისამოსთა კერვას, შედარებით სხვებთან იაფად. საქმეს ვასრულებ წმინდად და დროზედ.

**Портной О. Д. Салакая**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинск. Дворянства, № 24.

იბეჭდება და გამოვა ამ მოკლე ხანში

**საქართველოს კალენდარი**

დამდეგი **1897** წლისათვის

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის ნახატებით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეებთა სურათებით.

მიიღება განცხადებანი კალენდარში დასაბეჭდათ. ფასი თითო გვერდისა 5 მან. 50 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში
ვალერიან გუნიასი

იგივე სახალხო გამოცემა ფასი 15 კაპ.




იგივე სახალხო გამოცემა ფასი 15 კაპ.

მეორე გამოცემა
სრული სახელმძღვანელო ყოველნაირი ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ შემთხვევისათვის
ფასი 40 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 го Октября, 1896 г·
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია